*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სანდრო ეულის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, სანდრო ეულის ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X-476,436.330
Y-4,619,321.983
X-476,464.394
Y-4,619,325.564
X- 476,449.674
Y- 4,619,215.426
X- 476,293.440
Y- 4,619,195.590
X-476,494.283
Y-4,619,089.355
II ფეხ.
X-476,411.574
Y-4,619,079.720
X- 476,310.141
Y- 4,619,060.338
I ფეხ.
X-476,466.490
Y-4,619,086.434
X-476,412.297
Y-4,619,071.785
X-476,505.592
Y-4,618,998.954
X-476,482.465
Y-4,618,956.636
X-476,510.933
Y-4,618,959.962
ზეთის ანგარიშების ქ.
X-476,541.123
Y-4,618,739.246
X-476,531.889
Y-4,618,613.571
X-476,532.284
Y-4,618,473.696

**ზურაბ ანჯაფარიძე**

**(1928-1997)**

**მომღერალი , სახალხო არტისტი , ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი**

დაიბადა 1928 წელს ქ.ქუთაისში. 1947 წელს ზაქარია ფალიაშვილის ცენტრალური მუსიკალური სკოლა დაამთავრა. 1947-1952 წლებში ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლობდა პროფესორ დავით ანდრულაძის კლასში. 1952 წელს კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში სოლისტად ჩაირიცხა. მისი დებიუტი იყო, გურამის პარტია ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში "ლატავრა". პირველად თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში მოამზადა და იმღერა, ხოლო შემდეგ 1953 წლის 3 მარტს ეროვნული საოპერო თეატრის სცენაზე შეასრულა აბესალომის პარტია "აბესალონი და ეთერი". 1952-1958 წლებში ეროვნული საოპერო თეატრის სცენაზე 23 საოპერო სახე შეიქმნა, 20 წამყვანი პარტია იმღერა; მოსკოვის დიდ თეატრში მისი მოღვაწეობა მრავალფეროვანი იყო. მღეროდა დრამატული და ლირიკული ტენორის ყველა პარტიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალფრედის პარტია "ტრავიატა", ფაუსტის პარტია'" ფაუსტი", დონ კარლოსის პარტია "დონ კარლისიდან".

ზურაბ ანჯაფარიძე გარდაიცვალა 1997 წლის 12 აპრილს. დაკრძალულია ზაქარია პალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში. 2001წელს აქვე დაიდგა მომღერლის ბიუსტი.